

## მეფე ერეკლე.\_ საქართველოს პატრონი

-ეს წიგნი ანდრონიკაშვილისას მიიტანეთ!\_გასცა ბრძანება .

მეფის ხმამ შეაზანზარა კედლები და ორიოდ წამში დესპანიც უკვე კარში გაუჩინარდა.

ანდრონიკაშვილისას მიიტანეთ, ანდრონიკაშვილისას. კი კი, უთუოდ ზაალისას.

მეფე მეტად შეაწუხა მისმა ამბავმა. ამისთანა ვაჟკაცი, ამისთანა ადამიანი და ასე უმამულოდ?!

თავად ანდრონიკაშვილაც კი ჰქონდა მამული , სამოურავო ჰქონდა. უფრო სწორად თვითონ ახსოვდა, რომ ჰქონდა.

უკანასკნელად ის მაშინ ნახა, როცა სხვა კაცი ეპატრონებოდა.

თვითონ მაშინ ხის ხმალი ჰქონდა.ხის ხმლით სამყოფელს ვერ დაიცავო უთხრეს და მამამისის სკამზე უმალ სხვა კაცი დასვეს.

აგერ უჭირავს ფოლადის ხმალი, მტრის სისხლით გამაძღარი .ასეთი ხმლით სამყოფრლსაც დაიცავდა და მთელ მის სამშობლოსაც. და განა ეგრე არ შვრებოდა?

ერეკლეს ტკბილმწარედ ახსოვდა ასპინძა. კუდამოდუებული ტოტლებენით და რჯულძაღლი ოსმალებით სავსე. და ახსოვს თავად ანდრონიკაშვილი . მისი საომარი ყიჟინა, მისი ფოლადისა და მზის ამბორი ...

მტრის ურიცხვი ჯარი და ამ ჯარში შვიდ ხევსურთან ერთად უშიშრად შევარდნილი ანდრონიკაშვილი.

იმ დღეს მისმა ხმალმა არაერთგზის იმღერა. მან კლდის ქარის დარად ქროლვით შემოუარა მტრის ურდოს.

ახსოვს კიდევ აბდულაბეგის შემოსევა. იქაც ქარი იყო ზაალი .

მეფეს კიდევ ახსოვდა, ბედის უკუღმართობით გადახდილი, უამრავი ბრძოლა ,რომლებშიც თვალს ჭრიდა აბდრონიკაშვილის გამირობები.

ესოდენ ერთგული, ესოდენ მამაცი ვაჟკაცი უმამულოდ?!

მარტყოფის მხარე უწინაც ჰქონიათ ანდრონიკაშვილებს და ახლა მეფეც ყოველგვარი ჭოჭამანის გარეშე სამართალს ადასრულებს. ანდრონიკაშვილისნაირი კარგი ვაჟკაცი ხის ხმლითაც კი დაიცავდა ხალხს,მაგრამ აგერ ფოლადი უპყრია და გულშიც ფოლადი აქვს.

ცხენს რომ მოაჭენებს სიო სიმღერით მოჰყვება “ვაჟკაცსა გული რკინისა აბჯარი თუნდაც ხისაო”

მეფე ერეკლე დესპანის წასვლის შემდეგ ცოტა ხნით მარტო რჩება ჭიქა ჩაისთან ერთად , თავის სამყოფელში. ჩაის ცხელი ორთქლი ოთახს ავსებს და მეფეს ამ ბინდში ანდრონიკაშვილის მამული ეზმანება.

მარტყოფი, ბედკრული მარტყოფი, ისეთივე ნაწამები, როგორც თვითონ საქართველო. ყოველი გოჯი სისხლით მორწყული, გაწეპილი.

ოღროჩოღრო , ქვიანი, ტალხიანი...

ანდრონიკაშვილი სადაცაა მის მიწაზე დაადგავს ფეხს .პატრონს მონატრებული მიწა შეიხსნის ძველ ჭრილობებს. გადახსნილი ჭრილობებიდან სისხლი იჩქეფებს. პატრონი დაუჩოქებს მიწას , აკოცებს , უწამლის .ჭრილობებს შეუხვევს და აღთქმას დაუდებს. ხმამალა შესძახებს და მთებიც გაიგებენ . ის მთები სხვებს გადასცემენ სასიხარულო ამბავს: ჩვენი პატრონი დაგვინრუნდა!

ანდრონიკაშვილი მარტყოფს უპატრონებდა, ერეკლე კი საქართველოს პატრონი იყო. სისხლიან ჭრილობებ არ აკლებდა თავის სამშობლოს და არც არც სამშობლო არ აკლებდა მას,მაგრამ საბოლოოდ მეფე და სამშობლო ,სამშობლო და მეფე ერთმანეთ მტკივნეული მეთოდებით, მაგრამ მაინც მკურნალობდნენ.

ერეკლეს ესმოდა,რომ კარგ მიწას კარგი პატრონი უნდოდა.

აჰა! შეყარნენ ერთმანეთს ანდრონიკაშვილი და მისი მარტყოფი. ერეკლე კი თავის სამშობლოსთან დარჩებოდა მარტო, ისე, როგორც ბევრჯერ მომხდარა.

ესაუბრება თავის სამშობლოს. ჭრილობებს ისიც უხსნის , ბილწ სისხლს უდევნის , მკურნალობს...

საპასუხოთ სამშობლოც სისხლის ცრემლებით ატირებს მეფეს.

სხედან მეფე და სამშობლო ერთმანეთის პირისპირ დაჭრილები, სისხლმდინრები...

ხელები , თვალები და გულები გადაუჭდიათ ერთმანეთისთვის

და ნუგეშად ეჩურჩულებიან ერთმანეთს : გაუძელი, ცოტაც გაუძელი!.

ავტორი: სსიპ/გარდაბნის მუნიციპალიტეტის რაიონის, სოფელ მარტყოფის ,N 1 საჯარო სკოლის, XII კლასის მოსწავლე ანი მჭედლიშვილი. 17 წლის.